ორპარტიული სისტემის რღვევა თაივანში: ვინ არიან თაივანის სახალხო პარტიის მხარდამჭერები?

თეიმურაზ კობახიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები - პოლიტიკის მეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ოდოშაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თეიმურაზ კობახიძე

ხელმოწერა: _____ თარიღი: _____19.06.2026_____

ეძღვნება მათ, ვინც თავისუფლებას ირჩევს მაშინ, როცა ეს ყველაზე დიდ მსხვერპლს მოითხოვს.

აბსტრაქტი

2024 წლის იანვარში, 1987 წელს საომარი მდგომარეობის გაუქმების შემდეგ, თაივანში რიგით მერვე საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა. თაივანის სახალხო პარტიის (TPP) კანდიდატი, ქე ვენჭე, ხმების 26.4%-ით მესამე ადგილზე გავიდა. ეს არის საპრეზიდენტო არჩევნებში ხმების ყველაზე დიდი წილი, რომელიც ოდესმე მიუღია პარტიას, რომელიც არც კუომინტანგთან (გომინდანი) (KMT) და არც დემოკრატიულ პროგრესულ პარტიასთან (DPP) არის დაკავშირებული. ეს შედეგი არღვევს თაივანის სტაბილურ ორპარტიულ სტრუქტურას, რომელიც კონტინენტურ ჩინეთთან ურთიერთობის (თაივანის დამოუკიდებლობისა თუ პეკინთან დაახლოების) საკითხზე იყო აგებული.

სამაგისტრო ნაშრომი იკვლევს იმას, თუ რა განასხვავებს TPP-ის მხარდამჭერებს KMT-ისა და DPP-ის მხარდამჭერებისგან. ნაშრომი სამ განზომილებას შეისწავლის: ამომრჩევლის თაობას, ამომრჩევლის მიერ პოლიტიკური სისტემის შეფასებას და ამომრჩევლის პოზიციას ეროვნული იდენტობისა და თუნგტუს (გაერთიანება-დამოუკიდებლობა) საკითხზე.

ემპირიული ანალიზი ეფუძნება თაივანის არჩევნებისა და დემოკრატიზაციის კვლევის (TEDS) 2024 წლის ტალღას. ანალიზისთვის გამოყენებულია შეწონილი მულტინომიური ლოგისტიკური რეგრესია, რომელშიც დამოკიდებული ცვლადი პარტიების მიმართ მხარდაჭერაა.

შედეგებიდან გამოიკვეთა, რომ TPP-ის მხარდამჭერების სხვებისგან გამორჩეული პროფილი რამდენიმე ფაქტორით განისაზღვრება. პირველი, TPP-ის მხარდამჭერთა უმრავლესობა 1985 წელს ან მის შემდეგ დაბადებულ თაობას მიეკუთვნება. ამასთანავე, პოლიტიკური სისტემის შეფასებისას, TPP-ის მხარდამჭერთა პოზიცია KMT-ის ამომრჩევლების შეფასებებს ემთხვევა. ორივე ეს ჯგუფი სისტემის მიმართ ბევრად უფრო კრიტიკულია, ვიდრე მმართველი პარტიის, DPP-ის მხარდამჭერები. როგორც გამოჩნდა, ამგვარი კრიტიკული დამოკიდებულება ოპოზიციისთვის დამახასიათებელი დამოკიდებულებაა და არა TPP-ის განსაკუთრებული ანტიისტებლიშმენტური პოზიცია. მესამე, TPP-ის მხარდამჭერები სხვა პარტიების

მხარდამჭერებთან შედარებით უფრო განათლებულები არიან. თაივანის სრუტის საკითხებზე მეტად, მათ უფრო სოციალურ-ეკონომიკური საკითხები აღელვებთ, ხოლო მათი პოზიციები ეროვნულ იდენტობასა და თუნგტუს საკითხზე გაფანტულია და არაა პოლარიზებული.

მაშასადამე, ტიპური TPP-ის მხარდამჭერი განათლებული ახალგაზრდაა, რომელსაც არსებული პოლიტიკური სისტემის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება გააჩნია და ტრადიციულ პოლიტიკურ გამყოფ ხაზზე პოლარიზებული არ არის. გადაიქცევა თუ არა ეს კონფიგურაცია ახალ მდგრად პოლიტიკურ დაყოფად, ამას მომავალი არჩევნები და კვლევები აჩვენებს.

საკვანძო სიტყვები: თაივანის სახალხო პარტია (TPP); თაობები, პარტიებისგან დისტანცირებული ამომრჩევლები, გამარჯვებულ-დამარცხებულის თეორია, გამყოფი ხაზების თეორია; 2024 წლის თაივანის არჩევნები; მულტინომიური ლოგისტიკური რეგრესია.

ABSTRACT

In January 2024, Taiwan held its eighth presidential election since martial law was lifted in 1987. The candidate of the Taiwan People's Party (TPP), Ko Wen-je, finished third with 26.4% of the vote. This is the largest share of the presidential vote ever received by a party that is associated with neither the Kuomintang (KMT) nor the Democratic Progressive Party (DPP). The result disrupts Taiwan's stable two-party structure, which had been organized around the cleavage of relations with mainland China.

This thesis examines what distinguishes TPP supporters from the supporters of the KMT and the DPP. The study addresses three dimensions: the voter's generation, the voter's evaluation of the political system, and the voter's position on the established cleavage of national identity and the tongdu (unification–independence) question.

The empirical analysis is based on the 2024 wave of the Taiwan's Election and Democratization Study (TEDS). The method of analysis is weighted multinomial logistic regression, in which the dependent variable is party support.

The findings show that the distinctive profile of TPP supporters is determined by several factors. First, the majority of TPP supporters belong to the generation born in 1985 or later. Second, on the evaluation of the political system, the position of TPP supporters matches that of KMT voters. Specifically, both groups are far more critical of the system than the supporters of the incumbent party, the DPP. As it turns out, this critical attitude is the kind characteristic of an opposition voter and not a distinctive anti-establishment position of the TPP. Third, TPP supporters are more educated than supporters of the other parties. They are also more concerned with socio-economic issues than with relations with mainland China, while their positions on national identity and the tongdu question are dispersed rather than polarized.

Accordingly, the typical TPP supporter is an educated young person who holds a critical attitude toward the existing political system and is not polarized along the traditional political cleavage. Whether this configuration will turn into a durable new political cleavage will be shown by future elections and future research.

Keywords: Taiwan People's Party (TPP); generations; party dealignment; winner-loser theory; cleavage theory; 2024 Taiwanese election; multinomial logistic regression.